საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 90

14 07 2016 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 აპრილის N03/2232 წერილის განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 ივლისის სხდომის N12 ოქმის მე-5 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 აპრილის N03/2232 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 11 იანვრის N38-03 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება ერთი ერთეული ავტომანქანის (ავტომანქანა მერსედეს-ბენც სედანი სახელმწიფო ნომერი AA041FA) თხოვების წესით აყვანის შესხებ მარნეულის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის სრულყოფილი მუშაობისათვის.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI